გურამ მგელაძე

იოკასტე

,,დრო ხომ არ არის, გვიყვარდეს და გავთავისუფლდეთ
მათგან, ვინც გვიყვარს და გავუძლოთ ხლეჩას ისევე,
როგორც ისარი უძლებს ლარის გადაჭიმვას, რათა ფრენისას
საკუთარ თავს გადაასწროს. არსადაა ჩვენი ადგილი.''

რაინერ მარია რილკე

პერსონაჟები:

იოკასტე

ოიდიპოსი

ანტიგონე

მსახური

მოქმედების ადგილი: ყველგან, სადაც ტკივილია

მოქმედების დრო: ახლა

1.

სასახლე, რომელიც ორისთვის ციხეა, ხუთისთვის კი წარმატების და გარანტირებული (რაც დამსახურებულსაც გულისხმობს!) სოციალური სტატუსის (უფრო მარტივად, პრივილეგირებულობის) დასტური.

ღამეა. საძინებელში ჯერ მხოლოდ ოიდიპოსია. წევს. მუხლებზე ლეპტოპი უდევს.

ოიდიპოსი:

მგონი, პარალელურ რეალობაში მოვხვდით. მიჩქმიტე. იქნებ, კოშმარია.

იოკასტეს ხმა:

მოიცა, ერთი წუთი. თმებს ვიშრობ. არაფერი მესმის.

ოიდიპოსი:

სულ მე გპროვოცირებ. გგონია, ადვილია ჩემთვის უცხო სახელმწიფოს პოლიტიკურ რეალობაში ჩართვა? ხომ ხედავ, ჩიხური სიტუაციაა. დღე დღეზე შეიძლება სასახლეში შემოგივარდნენ შენი ექს ქმრის და მათი ექს ბელადის მომხრეები და მკვლელობის გამოძიება გთხოვონ. რატომ არ გინდა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა? რატომ აჭიანურებ? ლამის, სამჯერ ამოთხარეს კაცი მავზოლეუმიდან. რა უნდათ? რაში აწყობთ მკვდრის აქტუალობა? შენ ხომ ჩემზე უკეთ იცნობ ამათ.

პაუზა.

მისმენ საერთოდ?

ოთახში თმაზე პირსახოც გადახვეული იოკასტე შემოდის, პენუარით.

იოკასტე:

რა იყო, ოიდიპოს, ფერი არ გადევს.

ოიდიპოსი:

აგვიფეთქეს სახელმწიფო აპარატის ოფიციალური გვერდი, შეხედე! მალე ალბათ უნიტაზიდანაც ამოცვივდებიან. წარმოიდგინე, ფსმის დროს რომ ამოაძვრინონ წყალ და განავალ გამძლე ფოტოაპარატები! ყველაფერზე არიან წამსვლელები. დარწმუნებული ხარ, რომ აქ უსაფრთხოდ ვართ?

იოკასტე:

სად აქ?

ოიდიპოსი:

საძინებელში.

იოკასტე:

მგონი, პრობლემები გაქვს. ექიმს გაესინჯე.

ოიდიპოსი:

წესით, უნდა მწყენოდა. ყოველ შემთხვევაში, რეაქციის გარეშე არ უნდა გამეტარებინა, მაგრამ არ არის ახლა ნიშნისმოგებით საუბრის დრო. სხვა ტონი გჭირდება.

იოკასტე:

მე თუ შენ?

ოიდიპოსი:

ჩვენ.

იოკასტე ჟურნალის მაგიდიდან ჩაიდანს იღებს და ჩაის ისხამს.

ოიდიპოსი:

ნუ სვამ ჯერ , დაყნოსე მაინც. დავიჯერო, იმის დაშვებაც არ შეგიძლია, რომ შეიძლება ვირთხის წამლიანი ჩაი შემოგაპარონ?

იოკასტე:

ნუ ამბობ, მსგავს საზიზღრობებს. მეცოდები. სხვათა შორის, პოლინიკე და ეტეოკლე შენზე ადეკვატურები არიან.

ოიდიპოსი:

მე რომ არა ბიჭები დღემდე ამ სიგიჟის ეპიცენტრში იქნებოდნენ.

იოკასტე:

არ მომწონს შენი ქვეტექსტი.

ოიდიპოსი:

რას გულისხმობ?

იოკასტე:

მშვენივრად ხვდები, რასაც.

ოიდიპოსი:

ამ ღამემ მაინც ჩაიაროს უკონფლიქტოდ.

იოკასტე (ჩაის სვამს. იჭყანება)

ყინულია.

ოიდიპოსი:

გესმის?

იოკასტე:

დაიძინე, რა. ხვალ რთული დღე გვაქვს.

ოიდიპოსი:

ბრიფინგი ჩანიშნე?

იოკასტე:

დაახლოებით.

ოიდიპოსი:

ანუ?

იოკასტე:

(ჟურნალს ფურცლავს, ყურადღების გადატანას ცდილობს, თუმცა ვერ კონცენტრირდა)

შენც ანტიგონესავით დაიწყე ანუებით საუბარი? იმიჯს არ უხდება. კუდებს გამოაბამენ ქათმისტვინა ჟურნალისტები.

ოიდიპოსი (ზიზღით)

რა გინდა?

იოკასტე:

ლექსიკა აკონტროლე!

ოიდიპოსი:

საწოლშიც მზღუდავ?

იოკასტე:

რა კლიმაქსიანივით იბუტები!

ოიდიპოსი:

არ გეყო ზიზღის დღიური დოზა?

პაუზა.

ჩაი მინდა. მეც დამისხი.

იოკასტე:

ბოლო ყლუპი იყო

ოიდიპოსი:

გასკდები ამდენი სითხის სმით.

იოკასტე:

ყლუპებს მითვლი?

ოიდიპოსი:

ცოცხლად მჭამ. მე კი დეკლარირებული ვეგეტარიანელი მეგონე. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობ იმ შენს იდიოტურ გადაცემაში.

იოკასტე:

ტირესიასის შოუ ქმრის სიკვდილის მერე დავარდნილი რეიტინგის ასაწევად მჭირდება, თორემ მაგ უნიჭო ტრანსგენდერს ორგანულად ვერ ვიტან.

ოიდიპოსი:

ის?

იოკასტე:

რა ის?

ოიდიპოსი:

ის თუ გიტანს? საერთოდ, გიტანს ვინმე? ცხადია, შენ დაქვემდებარებაში მყოფი მსხვილი ტელევიზიის და რადიომაუწყებლობების გარდა?

იოკასტე:

კი.

ოიდიპოსი:

ვინ?

იოკასტე:

შვილები.

ოიდიპოსი:

გავიცინეთ. გვეყო!

იოკასტე:

გგონია, მათთვის არააქტუალური დედა ვარ?

ოიდიპოსი:

რაღაცნაირი თავშეკავებით ელაპარაკები. მათთან ურთიერთობისას დისტანციას იჭერ და ამით პრინციპში, ორი კურდღლის დაჭერას ცდილობ: თან შენი შერყეული სტატუსის ზონაში რჩები და თან გინდა დედის ამპლუაც ბუნებრივად ითამაშო. საბოლოო ჯამში, და უფრო ხარ მათთვის, ვიდრე დედა. დედა მხოლოდ ჭიპლარის გადაჭრამდე ახსოვდათ. ვხუმრობ!

იოკასტე: (ირონიით)

ზიგმუნდ ფროიდი დამწყებთათვის! შეეშვი ტუალეტში კითხვას, მერე ყველა სისულელეს იჯერებ და შენი აზრები გგონია.

ოიდიპოსი

(ლეპტოპის ეკრანს იოკასტასკენ ატრიალებს): ეს ტექსტი მრჩეველმა დაგიწერა?

იოკასტე:

რომელი?

ოიდიპოსი:

შუადღით რაც დაპოსტე.

იოკასტე:

დისლეპტიკი არ ვარ!

ოიდიპოსი:

უტვინო ხომ ხარ?

იოკასტე:

ახლაც ხუმრობ? ჩახურე რა, ვიძინებ.

ოიდიპოსი:

ცხენივით აპირებ ძილს?

იოკასტე:

რა?

ოიდიპოსი:

დგახარ ჯერ.

იოკასტე:

მოვწევ. (უკიდებს. ღრმა ნაფაზს არტყამს)

ოიდიპოსი:

ბოლო მშობიარობის მერე არაადეკვატური მწეველი გახდი. მგონი, საფერფლესთან უფრო მაქვს სექსი. (ნერვიულად იცინის)

იოკასტე:

შუბლი ისევ მტკივა.

ოიდიპოსი:

კოპია?

იოკასტე:

აღარ. სილურჯეა უბრალოდ.

ოიდიპოსი:

გამორიცხული იყო, რომ არ დამელია.

იოკასტე:

დაგეძინა მერე. რას ბღაოდი: დამინძრიე, დამინძრიეო!

ოიდიპოსი:

სიმთვრალეში ადვილად ვიგზნები. დაგავიწყდა, ისმენე როგორ გაჩნდა?

იოკასტე:

არა. (პაუზა) ნუ მთხოვ. დილით საქმეები გვაქვს. დაგვათენდა უკვე.

ოიდიპოსი:

ფრიგიდული გახდი?

იოკასტე:

რა შუაშია?

ოიდიპოსი:

რა რა შუაშია?

იოკასტე:

ნუ იმეორებ, დებილივით!

პაუზა/

ოიდიპოსი (ლეპტოპს ჩახედავს)

ვერ ვიჯერებ! შოკში ვარ, შოკში! პრაქტიკულად, სახელმწიფოს პირველი პირი სოციალურ ქსელში ტლიკინებს. არ გამაწყვეტინო იცოდე! მალაპარაკე. ზოგადად, შოკი მქოქავს. შიზოფრენიული კონტექსტია ასეთი. თავდაცვითი რეაქციაა, თუმცა ამაზე მერე. ახლა ეგზისტენციალურად მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ყურადღებით მომისმინე - შენ გციტირებ: ,, არ მესმის და არც მინდა ვიცოდე საზოგადოების იმ ნაწილის ქცევის რეალური მოტივაცია, რომლებიც ყეფა-ყეფით ითხოვენ ჩემი გარდაცვლილი ქმრის საქმის გამოძიებას. უზრდელები და უტიფრები ხართ! აი, რას ვფიქრობ თქვენზე! გინდათ, უფრო პირდაპირები ვიყოთ? მე თქვენ მეზიზღებით. ყველას არ გეხებათ, ცხადია. ჰყავს ამ ბრაზს კონკრეტული ადრესატი თუ ადრესატთა ჯგუფი, არც მინდა, რეალურად ამ პოლიტიკურად და იქნებ მენტალურადაც ვერრეალიზებულ

ხროვაზე დრო და ენერგია ვხარჯო, თუმცა დუმილს, წაყრუებას ან თვალის განგებ მოხუჭვას პირველ რიგში ჩემი მეუღლე არ მომიწონებდა. პრინციპული მმართველი იყო და ქმარიც,სხვათაც შორის. არ ვიცი, ღირს თუ არა ასეთ დეტალებში შესვლა, მაგრამ თქვენ ხომ ლატენტური პერვერტები ხართ! თქვენ ხომ ამ სოციალური ფასტ ფუდით სკდებით! ხომ გშურთ თქვენზე გაცილებით წარმატებული, შემდგარი და ვიყოთ ობიექტურები, უკონფლიქტო ოჯახების ცხოვრება! რამდენჯერ დაგსიებიათ ყბები ჩემი საოჯახო ბილბორდების ხილვისას? უკარიესო ღიმილი, მოვლილი თმა, რეგულარული სექსი და არანაირი ცელულიტი. ... ეს არ გასვენებდათ? ამიტომ მიგონებდით ათას სიბინძურეს?

ვინ მოგცათ მკვდრით მანიპულაციის უფლება? ნეკროფილები ხართ? მკვდრებთან დიალოგი გიყვართ? თქვენ მკვდრებს მიხედეთ! არ შეიძლება ცოტა ხნით მაინც აღარ იყოს აქტუალური?''

რაც შენ ახლა მოისმინე, ტლიკინი ქვია და არა პოზიცია. ხომ დადიხარ ფსიქოთერაპევთან. ფულს სიმუნჯეში უხდი? ვეღარ გცნობ.

პაუზა.

კუ-კუ! ერთ-ერთი ყველაზე კონფლიქტური რეგიონის მმართველი ხარ. მობილიზდი! კონსტრუქციულად თუ არ ვიმოქმედეთ, ცოცხლად შეგვჭამენ. გინდა ომი? მე არ მინდა!

პაუზა.

ჩაგეძინა?

იოკასტე (სიგარეტს ქოთნის ყვავილში ჭყლეტს):

წავშლი, თუ ასე ძალიან გაღელვებს.

ოიდიპოსი:

შენი ფეხებზემკიდიაობა უფრო მაღელვებს! მე ავიტან მედიის შავ პროპაგანდას, იმუნიტეტი მაქვს, მაგრამ ბავშვებზე რატომ არ ფიქრობ?

იოკასტე:

მღლის ეს ქვეყანა! ამორწყევა მინდა.

ოიდიპოსი:

ვიცი, სტრესული გარემოა,მაგრამ არ უნდა მოდუნდე

იოკასტე:

აღარ მინდა აქ!

ოიდიპოსი:

დალევ დამამშვიდებელს?

იოკასტე:

ვერ ვიტან აბებს.

ოიდიპოსი:

ნუ ბავშვობ! დალიე!

იოკასტე:

დავლევ, ოღონდ კონიაკს! *(პატარა მაცივრისკენ მიდის)*

ოიდიპოსი:

გააფრინე?

დგება. იოკასტეს მაჯაში სტაცებს ხელს.

იოკასტე მაჯას ითავისუფლებს

იოკასტე:

მატკინე, გთხოვ! მინდა,რომ მატკინო. ტკივილის შეგრძნებას ვკარგავ.

ხელს ჰკრავს და ოიდიპოსს საწოლზე აგდებს.

ოიდიპოსი რაღაცის თქმას ცდილობს, იოკასტე იხრება და აგრესიულად კოცნის. თავიდან დუნედ, თუმცა შემდეგ თავადაც ჩაერთვება მონადირე-მსხვერპლის თამაშში, ოღონდ რთული გასარკვევია, რომელი რომელია.

ოიდიპოსი იოკასტეს ხდის.

სრული სიბნელე.

2.

სასახლის ბაღი. შუადღეა. ანტიგონე შეზლონგზე წევს. იქვე: წვენით სავსე ჭიქა, წიგნი...

ვერ ამჩნევს, იოკასტეს შემოსვლას.

იოკასტე:

რას კითხულობ?

ანტიგონე:

არ მსიამოვნებს ჩუმად მოპარვები. რა იყო, ნაბიჯებს მიკონტროლებ? (პაუზა) ყდას დახედე, მსხვილად წერია.

იოკასტე:

ნუ მეტლიკინები, არც მეგონა საერთოდ, აქ თუ დამხვდებოდი. ქოშინ-ქოშინით გეძებდნენ მსახურები.

ანტიგონე:

რა ხდება?

იოკასტე:

გაემზადე, საღამოს ვახშამი გვაქვს.

ანტიგონე:

უიმე, სად?

იოკასტე:

უიმე არ უნდა მაგას. მამაშენისთვის უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა, ჩემთვისაც, სხვათა შორის.

ანტიგონე:

აბა, მე რაღა მინდა? რამე პოლიტიკურია?

იოკასტე:

ანტიდესტაბილიზაციის საბჭოს მმართველი გვეწვევა. ცოლ-შვილთან ერთად. იცი, რამხელა ბიჭი ყავს ? ბიჭი კი არა, მოზვერია. მგონი, რაგბისტი თუ რაღაც.

ანტიგონე:

უტვინო იქნება.

იოკასტე:

იცნობ საერთოდ?

ანტიგონე:

ყველა სპორტსმენი უტვინოა, დედა.

იოკასტე:

ვაიმე, აღარ უნდა გაიზარდო? ისაუბრებთ, გაერთობით. იქნებ, რამე გრძნობისმაგვარიც გაჩნდეს.

ანტიგონე (წვენს მოსვამს)

კაცს მტენი?

იოკასტე:

ვისი ლექსიკით მელაპარაკები! რას ნიშნავს ,, მტენი''?

ანტიგონე:

ნუ ისულელებ თავს.

იოკასტე:

ამიხსენი! ყველგან კამერებია, დაფიქრდი ხოლმე, ვიდრე იყროყინებ.

ანტიგონე:

(წივილით წამოხტება)

მეზიზღები!

გარბის.

იოკასტე: (წიგნს იღებს, ყდას დახედავს)

 დეგენერატი!

3.

მას შემდეგ, რაც პოლიტიკური ვახშამი თავის თავს ამოწურავს (უფრო სწორად, ქვეტექსტუალურად დაცლილი დიალოგი ჭორაობის ფაზაზე გადავა), ანტიგონე მუცლის ტკივილის სიმულაციით სუფრას დატოვებს. წასვლის ობიექტური (და პრინციპში, სუბიექტური!) მიზეზი საბჭოს მმართველის შვილის მხრიდან ფლირტის კომიკური მცდელობა იქნება. რაგბისტის კუნთების თამაში (,,შეეხე, არ გიკბენს!'') ანტიგონესთვის სოციალიზაციის შემაწუხებლად ბანალური ფორმა აღმოჩნდება.

 ამჯერად, სასტუმრო ოთახი ისევ კონიაკის, სიგარეტის და პოლიტიკის სუნითაა შედედებული. თუ ოთახი არ განიავდა, გაიგუდები.

 იოკასტე კონიაკს წრუპავს.

ჰალსტუხ შეხსნილი ოიდიპოსი მობილურში იქექება.

უხერხული სიჩუმეა.

იოკასტე:

არ იძინებ?

პაუზა.

ოიდიპოსი:

 ა?

იოკასტე:

გადაცხოვრდი ბარემ სიმულაციურ რეალობაში. იქ შედარებით უკეთ აგიტან .

უკვე დაიკმაყოფილე, ხომ, ეგო?

ოიდიპოსი:

ნუ ლაპარაკობ სისულელეებს. ზღვრის გაუვლელობის პრობლემა გაქვს.

იოკასტე:

რა ზღვრის? თავს იშტერებ?

პაუზა.

ოიდიპოს!

ოიდიპოსი:

გისმენ! მგონი, რაღაც ეგო ახსენე.

იოკასტე:

ამათი ყაყანი გსიამოვნებს?

ოიდიპოსი:

ვისი?

იოკასტე:

რა ვისი, რა ვისი! ხალხის!

ოიდიპოსი:

არა, რასაკვირველია.

იოკასტე:

მე კი პირიქით მგონია. ცდილობ, ამათ სრულფასოვან ლიდერად გაფორმდე. შენ ხომ ჯერჯერობით ჩემი ქმარი ხარ და არა ახალი ლიდერი. ქმრის სტატუსი მინიმალური გზაა სახელისუფლებლო პრივილეგიის მისაღწევად. მეტი გინდა! ხომ ხედავ, ვერც კი მეწინააღმდეგები და ახლავე ავხსნი რატომ (ვისკის მოსვამს): დღევანდელი ვახშამი შენი პოლიტიკური სტატუსის, ასე ვთქვათ, სრულყოფის, ფინალური ეტაპია. ჩემი ყოფილი ქმრის მკვლელობის საქმის რეაქტუალიზაცია რეალური მოტივისა და მკვლელის ვინაობის გარკვევას კი არა, შენი კარიერისტული ამბიციის, ვთქვათ პირდაპირ, ძალაუფლების ლეგიტიმაციისთვის გჭირდება. არ გამოვრიცხავ, შურის მომენტსაც. გშურს, რომ მკვდარიც შენზე აქტუალურია! პრინციპში, არა მხოლოდ აქტუალური, რაღაცნაირად ცოცხალიც. აი, ხომ არსებობენ მკვდრები, რომლებიც ექსკლუზიური სიჯიუტით აგრძელებენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში რეალიზებას. თან მკვდრის სტატუსითაც სარგებლობენ და თან სრულუფლებიანი მოქალაქეებივით არიან. არ ვიცი, ხვდები თუ არა საერთოდ, რას ვგულისხმობ. მგონი, აზრს ვერ ვაყალიბებ, მაგრამ არ მინდა მთავარ სათქმელს ავცდე. დღევანდელი ვახშამი შენი არც თუ ისე მყიფე და რეიტინგდავარდნილი მდგომარეობის ერთგვარ პრევენციად ჩავთვალოთ. არც ისე

რთულად იშიფრები, თუმცა შენგან უფრო რთულ სვლებს არც ველოდი. სიმარტივის კაცი ხარ, მარტივად გინდა ძალაუფლების ვერტიკალში მოქცევა. ნახე, როგორი სიტუაციაა: 4 წელზე მეტია ჩემი ქმარი ხარ, ოთხი შვილი გვყავს, ორი გოგო, ორი ბიჭი. ბავშვები შენ უფრო გაღმერთებენ, ვიდრე მე, თუმცა აქ და ახლა არ მსურს დეტალებში შესვლა. ამაზე მერე, ავირევი. ისედაც ვყანყალებ უკვე და შეიძლება აქვე ვარწყიო კიდეც. ბოდიში, თუ არ გსიამოვნებს, მაგრამ რეაქციაა. ალკოჰოლზე ასე მემართება. შენგან განსხვავებით, დამინძრიე-დამინძრიეს ძახილით არ დავრბივარ. თუ ნძრევა გინდა, პორნო ჩართე. ამას ასე გახსნილად პირველად ვამბობ, თუმცა რატომღაც მინდა იცოდე, რომ ჩემი ყოფილი ქმარი ანუ შენი მეტოქე ზედიზედ ოთხჯერ მითავებდა. ერთხელ, ბევრი ბჯენა-ბჯენის მიუხედავად, მაინც ვერ განვიცადე ორგაზმი. თითქოს შინაგანად რაღაც სიმხურვალეს ვგრძნობდი, მაგრამ მგონი, მეჩვენებოდა. სარკეში გავხედე მის ანარეკლს. აჩქარდა და აქ უკვე პირველად მეტკინა. მინდოდა, მასაც ტკენოდა. არ ვიცი, რატომ არ ვყვიროდი და არც ის ვიცი ამ ყველაფერს შენ რატომ გიყვები, იქნებ, გულსაც კი გირევ, რაც სავსებით ბუნებრივი რეაქციაა, თუმცა კიდევ ერთხელ გთხოვ, არ გამაწყვეტინო. იმ ღამით ბავშვი ჩაისახა, რომელიც დაბადებისთანავე მოვიშორეთ. ნუ ღელავ, არ მოგვიკლავს, უბრალოდ მოსამსახურეს გავატანე, ქალაქის მთავარ კარიბჭესთან დატოვა. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ მისანმა გვირჩია მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილების მიზნით ბიჭზე უარი გვეთქვა. რასაკვირველია მოკვლა არ უგულისხმია, უბრალოდ საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ ფეხმძიმობამდე გაცილებით ადრე დაიწყევლა ლაიოსი. მძიმე ამბებია, სხვა დროს მოგიყვები, ათ რამეზე ერთად ვერ ვკონცენტრირდები, ვითიშები უკვე. მოკლედ,ჩემი ქმარი კატეგორიულად მოითხოვდა ბავშვის ბალიშით მოგუდვას, თუმცა მე მკვლელობის წინააღმდეგი ვიყავი. ღამით გავაპარე, ლაიოსი კი დავარწმუნე, რომ ბიჭი კრუნჩხვებში ჩავარდა, მოკვდა და გვამი მსახურმა წაიღო. იმ დღიდან შემზიზღდა. ქმარს ვგულისხმობ, ცხადია. ახლა უკვე რეფლექსიის უნარი მოჩლუნგებული მაქვს და ვერც ვიაზრებ როგორ ვიტანდით ერთმანეთს საერთოდ. მისი მკვლელობის მერე რაღაცნაირად ავმჩატდი კიდეც, არადა წლების მანძილზე ვფიქრობდი სუიციდზე. მახსოვს, ერთხელ, ორსულობის პერიოდში გამომაღვიძა, გამაშიშვლა და დამიკბინა. შეწინააღმდეგების შემთხვევაში, აბაზანაში მიმათრევდა და ცივი შხაპის ქვეშ მაგდებდა. ვიცი ,საზიზღრობების მოსმენა გიწევს, თუმცა სხვანაირად არ შემიძლია. უნდა გამიგო. დამაავადმყოფა, გესმის? თუ არ მტკენ, არ ვარსებობ, ამიტომაც მიყვარხარ ოიდიპოს! როცა მტკენ, მაშინ ვცოცხლდები. დანარჩენ შემთხვევაში მე ვარ ქალ-თოჯინა, გარკვეული სოციალური პრივილეგიების პაკეტით. გინახავს ტრავმირებული თოჯინა? შენ მასთან ცხოვრობ! გინდა შენმა თოჯინამ სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნოს? ხომ, გინდა? შეწყვიტე საბჭოს მმართველთან მოლაპარაკება, მკვლელის დასჯას ხალხი ითხოვს, შენ კი არსებული სიტუაციით და ჩემი პრინციპული უმოქმედობით სარგებლობ და თავად ცდილობ წარსულის რეკონსტრუქციას. ნუ იქექები. რაში გჭირდება ჩემი ბიოგრაფიის რევიზია. ვინ მოგცა ამის უფლება? პოლიტიკურ ქულებს იწერ? ვისთვის? ვიღაც ძალადობაზე დაგეშილი ხროვისთვის? კიდევ კარგი, ბავშვები კრეონთან ისვენებენ. სხვა თუ არაფერი, ჰაერს გამოიცვლიან. ანტიგონეა ჯიუტი. სახლიდან არ გადის. მონაზონს დაემსგავსა ან რა ფერი ადევს საერთოდ. მე

ხომ ვგრძნობ, როგორ მოქმედებს ეს შედედებული სიძულვილი მის ფსიქიკაზე. ხომ უყურებ ტელევიზორს? ერთმნიშველოვნად პარანოიდალური სიტუაციაა. სამი დღის წინ ანტიგონეს ჩემი ქმრის სახელზე დარეგისტრირებული ას სამოცდათექვსმეტი სიმულაციური გვერდი დაუთვლია. თვალებს არ ვუჯერებდი. ეს უკვე სცდება ლოგიკის და ნორმირებული აბსურდის ფარგლებს. ხანდახან ისიც კი მგონია, რომ ამათი მთავარი პრობლემა მე ვარ ანუ რეალურად, მკვლელობის გახსნაზე მეტად ჩემი სოციალური ლუსტრაცია სურთ, თანაც კოლექტიური სახით. ეგონათ, თავიანთ რეგვენ მმართველს სიცოცხლის ბოლომდე მონასტერში გამოვიგლოვებდი თუ საკუთარი ბიოგრაფია უნდა გამეუქმებინა? ხვდები, ხომ რას ვგულისხმობ? (პაუზა) ჩაგეძინა?

იოკასტე იატაკაზე მიდგმულ ბოთლს თავსახურს ხსნის, ვისკის უკანასკნელ წვეთებს ჭიქაში კაპლივით ისხამს, სვამს. იმანჭება.

ოიდიპოსს გახედავს. დგება, ბანცალ-ბანცალით მიდის სავარძელთან. ჯერ მხრებს უმასაჟებს, შემდეგ ჰალსტუხს შეუხსნის პერანგის რამდენიმე ღილთან ერთად და მკერდში უფათურებს ხელისგულებს.

იოკასტე: ჩემი ბიჭი!

ჩერდება, ასლოკინებს, იმანჭება და ბანცალ-ბანცალით გარბის ოთახიდან.

ისმის რწყევის ხმა.

4.

იოკასტეს არაკონტექსტუალური ვერბალური სტრიპტიზის შემდეგ (ეს ,,შემდეგ" 5 დღიან შუალედს გულისხმობს) ოიდიპოსთან დიალოგი ამჯერად ფხიზელ მდგომარეობაში, შინაგანი ცენზურის კომპონენტის გათვალისწინებით გაგრძელდება. იოკასტე ხისტად მოითხოვს საგამოძიებო მსვლელობის შეწყვეტას. ოიდიპოსი საკუთარ პოზიციას პრინციპულად არ დათმობს.

თუმცა ამჯერად, იოკასტე სასახლეში არ იმყოფება. მშვიდობის საერთაშორისო სიმპოზიუმზე გაემგზავრა. განსხვავებული იდეოლოგიის მატარებელი არხები კი ისევ უწყვეტად ტრანსლირებენ მის ბრიფინგს ლიდერის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით.

სწორედ ბრიფინგია მამა-შვილის მსუბუქი ვახშმის ცენტრალური თემა.

ოიდიპოსი:

არ მესმის, ამ ბუნდოვანი რიტორიკით რის მიღწევას ცდილობს!

ანტიგონე:

შიში!

ოიდიპოსი:

რა შიში?

ანტიგონე:

ანუ, ქმრის ეშინია, ოღონდ შენი არა, მკვდრის ანუ მკვდარი ქმრის.

ოიდიპოსი:

ჯერ დალაგდი და ისე ამიხსენი. უაზრობებს ამბობ.

ანტიგონე:

არც ისეთი სულელი ვარ, შენ როგორც გგონია!

ოიდიპოსი:

რა იცი, შენ მე რა მგონია და რა არა? დედაშენივით ნუ ატლიკინდები ახლა. ხომ ხედავ, რა დღეშიც ვარ. 1 კვირაში 6 კილო დავიკელი. პარსვის თავიც არ მაქვს, შეხედე!

ანტიგონე:

გიჟს კი გავხარ ისე!

ოიდიპოსი:

ტუტუცო!

ანტიგონე:

კაი, ხო ვხუმრობ (ბავშვივით იბღუზება) ძმასავით მიყვარხარ, მა!

ოიდიპოსი:

არ გინდა რა, ეგ იდიოტური სენტიმენტები!

პაუზა.

ბოლომდე უსმინე?

ანტიგონე:

არა.

ოიდიპოსი:

რატო, გღლის?

ანტიგონე:

რა?

ოიდიპოსი:

 რა კი არა ვინ, დედაშენი.

ანტიგონე:

ტოქსიკური ქალია. არ უთხრა, ეწყინება.

ოიდიპოსი:

უარესებიც უთქვამთ. არ უყურებ ტელევიზორს?

ანტიგონე:

მეზიზღება.

ოიდიპოსი:

ტელევიზორი?

ანტიგონე:

ხალხი. უკეთეს რეალობას ვიმსახურებ!

ოიდიპოსი:

ჩვენც! ნუ ხარ ეგოისტი

ანტიგონე:

არ ვარ.

ოიდიპოსი:

ხარ!

ანტიგონე:

თუ პრობლემა ვარ, პირდაპირ მითხარი, არ მეწყინება. დიდი გოგო ვარ უკვე.

ოიდიპოსი:

ჩხუბის ხასიათზე ვართ?

ანტიგონე:

შენ დაიწყე. არ შეიძლება ერთხელ მაინც არ ვილაპარაკოთ პოლიტიკაზე?

ოიდიპოსი:

გენეტიკურია. შეეგუე...

ანტიგონე: (ზიზღით)

ვერ ვიტან კონფორმისტებს.

ოიდიპოსი:

რა შუაშია აქ კონფორმიზმი, სად მოქექე!

ანტიგონე:

ვერ ხვდები?

ოიდიპოსი:

ვერა.

ანტიგონე:

ცხოვრების წესად ქცეული შემგუებლობა ვიგულისხმე. *(დგება)*

ოიდიპოსი:

დაჯექი, ჯერ არ დაგვიმთავრებია.

ანტიგონე:

გულს მირევთ!

ოიდიპოსი:

ვჭამთ, მგონი.

ანტიგონე ჯდება

ოიდიპოსი ღვინოს ისხამს და ხარბად სვამს.

ანტიგონე:

სად გაიცანით ერთმანეთი?

ოიდიპოსი:

გრძელი ამბავია, მერე მოგიყვები.

ანტიგონე:

მერე როდის? ახლა მინდა.

ოიდიპოსი:

აქვს ამას შენთვის არსებითი მნიშვნელობა?

ანტიგონე:

ისე, უბრალოდ. არასდროს არ მიყვებით თქვენზე ანუ, ჩემამდე როგორები იყავით თქო, ეგ ვიგულისხმე.

ოიდიპოსი:

ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე მოვკარი თვალი. არ ვიცოდი, რეალურად, ვინ რა თანამდებობაზე იყო. გვიან გავთვითცნობიერდი. მე ხომ სხვაგან გავჩნდი. სხვა რეალობაში.

ანტიგონე:

სად?

ოიდიპოსი:

კორინთოში.

ამ დროს მსახური ქალი გორგოლაჭებიან მაგიდას შემოაგორებს. მაგიდაზე: ყავის ჩაიდანი, შაქარი,რძე, ჭიქები. ჩაიდნიდან ყავას ფინჯანში ასხამს და ოიდიპოსთან მიაქვს.

ოიდიპოსი (ანტიგონეს):

დალიე, მაგარია. ოქროს ხელები აქვს ამას.

ანტიგონე:

არ მინდა.

მსახური ქალი რაღაცნაირი შიშით გახედავს ოიდიპოსს.

ოიდიპოსი:

მოხდა რამე?

ქალი თავს გააქნევს. გორგოლაჭებიან მაგიდას კარისკენ აბრუნებს და გადის.

ანტიგონე:

საერთოდ ვერ ლაპარაკობს?

ოიდიპოსი (ყავას მოსვამს)

ვერა, თანდაყოლილი სიმუნჯე აქვსო, დედაშენმა. ჩემამდეც ყავდა.

ანტიგონე:

რამდენისაა?

ოიდიპოსი:

ორასი წლის. (პაუზა) ვხუმრობ. საოცარი ხელი აქვს, თუმცა დაბერდა და ნივთები უვარდება. მახსოვს, პირველი სტუმრობის დროს ფეხი თავად დამბანა. წესია ასეთი. შენ არ იკადრებ, სხვა თაობა ხარ, დაიჭყანებოდი. ხომ მართალი ვარ? ერთი სიტყვით, წყლიანი ტაშტი გაუვარდა და გაიქცა.

ანტიგონე:

პარანოიკია?

ოიდიპოსი:

არ ვიცი. დაფეთდა.

რეკავს მობილური.

ოიდიპოსი ყავას ერთ ყლუპად მოსვამს, დგება, ჯიბიდან მობილურს იღებს და გადის.

ანტიგონეც გასვლას აპირებს, თუმცა გასვლამდე მაგიდაზე ოიდიპოსის პორტსიგარს შენიშნავს. იღებს ერთ ღერს, უკიდებს. მსუბუქ ნაფაზს დაარტყამს და ოთახს ტოვებს.

5.

პოლიტიკურ ქაოსს სახელმწიფოში ფსიქო-სოციალური პარანოიაც ემატება. კატასტროფულად იზრდება ფემინოფობიური გვერდების რიცხვი. ცხადია, მთავარი სამიზნე იოკასტეა. მასა მკვლელის დასჯას ითხოვს. პრაქტიკულად, გვამის რეაქტუალიზაციამ ყველა ნიუსი გადაფარა. ცენტრალური ქუჩები პიკეტირებულია. მრავალათასიანი აქციაა სამმართველო რეზიდენციასთან. ლაიოსის მეგობრები და თანაპარტიელები ყეფა-ყეფით ითხოვენ ანტიდესტაბილიზაციის საბჭოს მხრიდან გატარებულ ქმედითუნარიან ნაბიჯებს.

ანტიგონე დეპრესიაშია. ოთახიდანაც არ გამოდის. მიმდინარე მოვლენების კონტექსტის აღქმის უნარი აქვს დაკარგული. პრინციპში, არც სურს ამ ქაოსის ეპიცენტრში ყოფნა. კლასიკური ინტროვერტია საჯაროობის აკვიატებული შიშით. ღლის მედია ყაყანი. ბავშვობიდან ვერ ეგუება თავისი მშობლების ტელე ორეულთა არსებობის ფაქტს. პრინციპში, რაც გაჩნდა, მშვიდ და გაწონასწორებულ გარემოში არც უცხოვრია. ნევროზი ხომ მისი ქვეყნის ეგზისტენციალური ბიოგრაფიის ნაწილია.

6.

სასახლე. დემონთა ბენეფისი.

იოკასტე სასმელს იმზადებს (ყინულის კუბებს ყრის ჭიქაში).

ოიდიპოსი აივანზეა.

იოკასტე

რა ხდება?

ოიდიპოსის ხმა:

რა ხდება?

იოკასტე:

შენ გეკითხები? ისევ ბევრნი არიან?

ოიდიპოსის ხმა:

კი.

იოკასტე (სვამს):

მოხურე, რა, კარი. აცივდა.

ოიდიპოსი ოთახში ბრუნდება.

ოიდიპოსი:

ნუ სვამ, მერე ენას ვერ აჩერებ.

იოკასტე:

ჩლუნგებთან კონსესუსს მთავაზობ?

ოიდიპოსი:

არაფერსაც არ გთავაზობ. ნუ ბოდავ.

იოკასტე ჭიქას იატაკზე დგამს და ოიდიპოსთან მიდის. მხრებს უმასაჟებს.

იოკასტე:

განტვირთვა არ გაწყენდა.

ყურის ბიბილოებს ულოკავს.

ოიდიპოსი:

მოიცა, არ...

იოკასტე აგრესიულად ეხუტება.

იოკასტე:

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!

კანს, სხეულს ყნოსავს.

ოიდიპოსი (იშორებს)

მოიცა თქო, ერთი წუთი.

იოკასტე:

მატკინე...

ოიდიპოსი გაშლილ ხელს გაუქანებს. იოკასტე ლოგინიდან ხმაურით ეცემა.

გრძელი პაუზა.

ოიდიპოსი:

ცოცხალი ხარ?

პაუზა.

ხომ გთხოვე, ასეთ დამაჩლუნგებელ სიტუაციაში შენი ფლუიდებისთვის არ მცალია-მეთქი. იმათ უსმინე, რას სკანდირებენ. მოგწონს? გსიამოვნებს? არ გტკენენ?

იოკასტე არაადეკვატურად იცინის. დგება. ლოყას იზელს.

იოკასტე:

მორჩა, მოვფხიზლდი. სექსი მერე. მწყურია.

ყინულებში ჩადგმულ შამპანურს იღებს და საცობს კბილებით ექაჩება.

ოიდიპოსი:

სარკეში ჩაიხედე, რას დაემსგავსე.

იოკასტე:

სადაა ამის სახსნელი, დავამტვრევ იცოდე.

ოიდიპოსი:

მანდ იქნება, სადმე.

იოკასტე:

სად?

ოთახში იწყებს ბოდიალს. ბალიშის ქვეშ იხედება, აივანზე გადის, შემოდის.

იოკასტე:

უი, აქ ყოფილა!

კორპსაძრობს ჟურნალის მაგიდიდან იღებს და შამპანურს ხსნის

ოიდიპოსი:

არ გწერენ ხოლმე?

იოკასტე ოიდიპოსს მიუჯდება, შამპანურს იყუდებს.

იოკასტე:

დალევ?

ოიდიპოსი უხმოდ ართმევს და სვამს.

ოიდიპოსი:

სხვათა შორის, უკვე პირად შეტყობინებებშიც გლანძღავენ. სიამოვნებთ, იგზნებიან, რა ვიცი, იქნებ ათავებენ კიდეც. რას უმალავ, იოკასტე?

იოკასტე:

დაკითხვაზე ვარ?

ოიდიპოსი:

რას მიმალავ?

იოკასტე:

შემეშვი!

ოიდიპოსი:

ნუ ჯიუტობ!

ანჯღრევს

ოიდიპოსი:

შენ მოკალი?

იოკასტე:

რა?

ოიდიპოსი:

ლაიოსი შენ მოკალი?

იოკასტე:

დამასწრეს.

ოიდიპოსი:

ვინ? მითხარი, ვინაა ლაიოსის მკვლელი.

იოკასტე ოიდიპოსს ხელს კრავს და სავარძელში ჯდება. ოიდიპოსის საუბრის დროს შამპანურს სვამს.

პაუზა.

ოიდიპოსი:

წარმოდგენა არ გაქვს, როგორ მღლის ამათი გაცხადებული ნეკროფილია. მკვდარი ვარ, ფაქტობრივად. ნული. ვეღარ გცნობ, ვერც შენ და ვერც საკუთარ თავს. ცუდი მმართველი ვარ? ხომ ვცდილობდი ამათთან მოლაპარაკებას. ხომ ვეცადე საგამოძიებო პროცესი ობიექტურად გამჭირვალე ყოფილიყო? ჩემი თუ არ გჯერა, საბჭოს მმართველი დაგიდასტურებს, სანდო კადრია, დიდი გამოცდილება აქვს. ეჭვმიტანილებიც გვყავდა.

იოკასტე:

ვინ?

ოიდიპოსი:

ერთი-ორი დემაგოგი ოპოზიციური ფრაქციიდან.

იოკასტე:

პოლიტიკური მკვლელობა გგონია?

ოიდიპოსი:

გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი.

იოკასტე:

მე უკვე გამომრიცხე?

ოიდიპოსი:

უხერხემლო ხარ მკვლელობისთვის.

იოკასტე:

და შენ?

ოიდიპოსი:

მე?

იოკასტე:

ხო, შენ.

ხანგრძლივი პაუზა.

ოიდიპოსი:

იცი, წლების წინ მართლაც შემომაკვდა კაცი, ოღონდ უცნაურია: დაუსჯელობის პრობლემა დღემდე არ მაწუხებს. მორალს მიღმაა ეს ამბავი. შემთხვევითობა იყო. ავხსნი: ნაბიჭვარი ხარო, ნათესავის ნადიმზე წამომაძახეს. სხვისგან შეიძლება არც მწყენოდა, მაგრამ ბიძაჩემმა მითხრა. სმის დროს არაადეკვატურად აგრესიული ხდებოდა ხოლმე. რამდენჯერმე დეიდაჩემი ჩვენს თვალწინაც უცემია. მძიმე კაცი იყო, ომის შედეგად ტრავმირებული და სრულფასოვნად რეალიზებული მოძალადე. მართალია, მამაჩემს შეიძლება წყენოდა, მაგრამ უსამართლო დამცირებას რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებდი. დარტყმის მომენტი არც მახსოვს. ისიც არ ვიცი, რა მოხვდა. მგონი, ხილის თასი. რასაკვირველია, მაშინვე მშობლებთან გავიქეცი. ავადმყოფია, რას უსმენო, დედაჩემმა. დილით დელფოს სამისნოში ჩავედი. ეჭვები მღრღნიდა. ყველაფერს მოველოდი, იმ საზარელი წინასწარმეტყველების გარდა. მამას მოკლავ და დედას შეირთავო ცოლად, მისანმა. სისხლი გამეყინა. გადავწყვიტე, ქალაქი სამუდამოდ დამეტოვებინა. ფულის ისედაც მქონდა, გამოსამშვიდობებელი წერილი დავტოვე, მობილური საკანალიზაციო მილში ჩავაგდე და სახეტიალოდ წამოვედი. რამდენიმე კვირიანი რთული გზის შემდეგ, თებეს კარიბჭესთან შევჩერდი, რომელიღაც იაფფასიან სასტუმროში. მინდოდა, ახალი რეალობა მეგრძნო. რამდენიმე დღეში ერთი უცნაური შენობა აღმოვაჩინე. საშინლად მინდოდა ქალი და ალკოჰოლი, თუმცა შესვლისას სხვა ატმოსფერო დამხვდა. მგონი, სადო-მაზოხისტური კლუბივით იყო. იცოდი?

იოკასტე, რომელიც მთელი მონოლოგის მანძილზე სვამდა, ბოთლი ხელიდან უვარდება

იოკასტე:

არ გინდა, გთხოვ!

ოიდიპოსი:

არ შემიძლია, უთქმელობის ზიზღი მკლავს. ხომ მივედით უკვე ზღვრულ მდგომარეობამდე? მეც მალაპარაკე. (პაუზა) კლუბში ჩვეულებრივი მომსახურებაც ჰქონდათ ანუ სტანდარტული სექსი. სექსამდე ღორივით ვისხი ალკოჰოლი ტუალეტში სამჯერ ვარწყიე. ერთი, კარებთან. კაბინიდან გამოსვლისას, ვიღაც თმა-წვერდაუბანელ ტიპს შევეჩეხე.

იოკასტე:

მოკეტე!

ოიდიპოსი:

მხარი გავკარი. შემაგინა. სახეში მუშტი ჩავარტყი, დაბარბაცდა და ნიჟარას ჩამოარტყა თავი. მუქი განათების ფონზე კიდევ უფრო მეტად გულისამრევი შეფერილობა ჰქონდა გატეხილი თავიდან გამოჟონილ სისხლს.

მძიმე პაუზა.

ოიდიპოსი:

შეგზიზღდი?

იოკასტე:

რახან საკუთარ დემონებს აღარ ვებრძვით, ახლა ჩემი სიმართლის ატანა მოგიწევს. პრინციპში, შენი სიმართლე უფროა, ვიდრე ჩემი.

ოიდიპოსი:

თქვი.

იოკასტე: გახსოვს, ჩემი შვილის შესახებ რომ გიყვებოდი? ორსულობამდე გაცილებით ადრე დაიწყევლა ლაიოსი. ვიცოდით, ბიჭი გაჩნდებოდა, რომელიც მამას მოკლავდა და მე შემირთავდა ცოლად . ამიტომაც მოვიშორეთ თავიდან. (პაუზა) სხვათა შორის, მკვლელობის ერთადერთი ნივთმტკიცებაც არსებობდა კლუბის კამერის სახით და ისიც მე გავანადგურე. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც შენ გაგიცანი. ვერავის მივცემდი შენთვის ტკივილის მიყენების უფლებას. ვეღარ დაგკარგავდი. მხოლოდ მე უნდა მტკენოდა, თანაც შენგან ანუ ჩემი ქმრადქცეული შვილისგან. უნდა მტკენოდა ისევ და ისევ შენი გაიწირვის გამო. სწორედ ეს სიცხადე მექცა პერსონალურ წყევლად. საკუთარი შვილისგან დავფეხმძიმდი, საკუთარმა შვილმა მიხმარა, საკუთარ შვ...

ოიდიპოსი:

ავადმყოფო!

იოკასტე:

დედაშენი ვარ!

ოიდიპოსი:

არ მომეკარო!

იოკასტე:

მიყვარხარ!

ოიდიპოსი: (ყვირის)

ბოდავ! ბოდავ!

იოკასტე :

ბრმა იყავი და თვალი აგიხილე. ახლა უკვე აღარც გჭირდება ფიზიკური რეალობის აღქმა. აღარ მინდა მხედავდე! ვერ ავიტან!

იღებს კორპსაძრობს და ოიდიპოსს თვალში არჭობს.

ღრიალი. ბევრი სისხლი.

7.

*იოკასტე თავს მოიკლავს, დაბრმავებულ ოიდიპოსს სულით ავადმყოფთა კლინიკაში გამოკეტავენ, თუმცა მანამდე ანუ უშუალოდ თვალის დათხრის შემდეგ (იმ ღამით!) იოკასტე ე.წ. ,,ლაივით'' ჩაერთვება ტირესიასის შოუში. სკანდალური და ყვითელი თემებით ცნობილი ტრანსგენდერის გადაცემა საგანგაშოდ მოთხოვნადი ტელეპროდუქტია. აქტუალიზაციის ამგვარი მცდელობები ხშირად ამართლებს ხოლმე იმდენად, რამდენადაც მასის გემოვნებაზეა მიბმული. უფრო მეტიც, მაყურებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ტირესიასის ორიენტაციაზეც კი დახუჭა თვალი ერთი კონკრეტული მოთხოვნის სანაცვლოდ: ,,**პირველთა** ცოლებზე გვაყურებინე!'' იოკასტე რამდენჯერმე მივიდა სტუმრის სტატუსით, თუმცა რეალურად, არც არაფერი ჰქონდა მოსაყოლი. ძირითადად, სიმულირებდა ხოლმე ექს ქმართან თანაცხოვრების ეპიზოდებს. ეს იყო ერთგვარი ხარკი, საკუთარი ტელე ორეულის შექმნის დამთრგუნველი პროექტი **status quo ante**-ს ლეგიტიმაციისთვის.*

იოკასტე ამჯერადაც ისაუბრებს ლაიოსის წარსულზე. იტყვის ყველაფერს, რაც რეალურად ხელს შეუწყობს (ყოველ შემთხვევაში, მისი აზრით) მკვდარი ლიდერის დესაკრალიზაციის პროცესს. იტყვის იმასაც, რომ ლაიოსი პერვერტი ღორია და სწორედ ამ ნიშნითაც ჰგვანან მხარდამჭერები თავიანთ მმართველს. იოკასტე ვრცლად ისაუბრებს თავისი არსით რეზონანსულ, თუმცა წლების მანძილზე განზრახ მიჩქმალულ ამბავზე, რომელიც ლაიოსის პედოფილიურ მიდრეკილებებს

ეხება. მონოლოგის მიხედვით საჯაროვდება ლიდერის მიერ გაუპატიურებული 15 წლის ბიჭის ისტორია მოკვლივ მუქარით დაშინებული დედის ფაქტორის (მამა დაბადებამდე ჰყოლია გარდაცვლილი) ჩათვლით.

მონოლოგის მიხედვით ირკვევა ისიც, რომ ლაიოსის მმართველობის სიცოცხლისუნარიანობა ხალხის სიბრმავის, წყრუების და სიმუნჯის შედეგია.

ეგზალტირებულ ჩართვას იოკასტე დაასრულებს სრულიად მაშოკირებელი განცხადებით, რითაც სამუდამოდ ,, გაწირავს'' ტირესიასის შოუს მაღალი რეიტინგისთვის.

ის მრავალათასიან ტელეთვალს კორპსაძრობზე წამოცმულ სისხლიან ბურთს აჩვენებს და დეტალურად მოყვება ოიდიპოსის ფატალიზმით დაღდასმულ ისტორიას. გაამხელს იმასაც, თუ როგორ ამოიცნო მისმა ,, მუნჯმა'' მსახურმა ფეხის ბანვის რიტუალისას ოიდიპოსი. ,, შრამი გართულებული მშობიარობის შედეგად შერჩა, რაც მე არ ვიცოდი.მხოლოდ მსახურმა შენიშნა, ვისაც ბავშვი გავატანე. ახლაც მახსოვს, მისი გადაფითრებული სახე, როგორ ქაოტურად ცდილობდა წლების წინ მისნის მიერ ნაწინასწარმეტყველები წყევლის შეხსენებას. ისიც მითხრა, რომ ეს ის ბიჭია, რომელიც დაბადებისთანავე თებეს კარიბჭესთან დავატოვებინე. აღარ მახსოვს პირველი რეაქცია. ვიტყვი მხოლოს იმას, რომ მსახურს ენა ამოვჭერი. წერა არც იცოდა. შესაბამისად, ვერ გაგვთქვამდა. რეალურად, ენა (უფრო სწორად, უენობა) იყო მისი დუმილის გარანტია. არ ვნანობ ჩადენილ საქციელს, ამაში გულის ამრევი არაფერია. მე მორალს მიღმა ვარ, რადგან მიყვარდა ოიდიპოსი, საკუთარ თავზე, შვილებზე, პრინციპებზე და სახელმწიფოზე მეტადაც კი. ეს იყო შურისძიების დიდებული აქტი. არ შემეძლო შური არ მეძია თქვენი დამაჩლუნგებელი მორალის, ჯიუტი სიბრმავის და სხვის საძინებელში შეღწევის ისტერიული მცდელობების გამო. მე თქვენ თავიდანვე მძულდით, ვერ გიტანდით, მაღიზიანებდით. ამიტომაც, მივუსაჯე საკუთარ თავს ჩემი საცოდავი შვილი. ჩათვალეთ, რომ ეს იყო ანდერძიც, წყევლაც და აღსარებაც. აღარ მინდა ამ სიდამპლეში ცხოვრება, მშვიდობით!''- იტყვის იოკასტე და პირდაპირი ტრანსლაცია შეწყდება.

დასასრული

იანვარი-თებერვალი, 2021 წ.